

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“

როგორც ქართული ცნობიერების აღზრდის კლასიკური წყარო

ნინო ჭოლაძე

ქ.თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, დოქტორანტი

რეზიუმე

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ წარუვალა მხატვრულ-პედაგოგიური და ისტორიულ მნიშვნელობის წიგნია. მისი უნივერსალიზმი, თემატური მრავალსახეობა, ენობრივი სისადავე და ლაკონური თხრობა, ზოგადსაკაცობრიოსა და ეროვნულის ოსტატური შერწყმა, ქართული იდენტობისა და პატრიოტული სულისკვეთების მკაფიო დემონსტრაციაა. მოზარდს იგი უღვივებს ეროვნულ ცნობიერებას, უნერგავს შეგნებულობისა და აქტიურობის, სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპებს. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ რჩება ქართული საყმაწვილო მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან.

საძიებო სიტყვები:

გოგებაშვილი, ბუნების კარი, ქართული ცნობიერება, ეროვნული იდენტობა, ისტორიული მემკვიდრეობა.

იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთლის მოსწრებული თქმით, „წარსულის შვილი, მომავლის მამა და მყოფადის გადია“, პირველი ქართველი საბავშვო მწერალია, რომელმაც ახალი თაობის პედაგოგიური აღზრდა თავისი შემოქმედების უმთავრეს ლაიტმოტივად აქცია. ფანტასტიკურად მოკლე დროში - ათი წლის მანძილზე - ი. გოგებაშვილმა შექმნა "ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" (1865), "ბუნების კარი" (1868), "დარიგება მოსწავლეთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში" (1872), "დედა ენა" (1876) და ამ ფუნდამენტური ნაშრომებით საფუძველი ჩაუყარა ქართულ კლასიკურ პედაგოგიკას და ეროვნულ სასკოლო განათლებას.

გოგებაშვილის „დედა ენა,, და „ბუნების კარი,, სახელმძღვანელოები კი არა, პოემებია - წერდა გალაკტიონი. („ბუნების კარი“თბილისი, განათლება, 1976 წ.)

ი.გოგებაშვილის უკვდავ „დედა ენასთან“ ერთად, გამორჩეული ადგილი უჭირავს მის მიერ შედგენილ „ბუნების კარს“, სადაც თავმოყრილია ენციკლოპედიური ხასიათის მრავალფეროვანი მასალები გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სფეროდან. მათი მეოხებით ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს უნერგავს მშობლიური მიწა-წყლის, ენის, წარსულის, სიტყვაკაზმული მწერლობის სიყვარულს. ამავე დროს, იგი მაგალითად უსახავს მას სამყაროს მეცნიერულად ათვისების მოწინავე გამოცდილებას, რისი წყალობითაც „ევროპიელმა კაცობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითი დღე ზრდის თავისს კეთილდღეობას მათ შემწეობით“. „ბუნების კარი“ დანართი.გვ.2

„ბუნების კარი“ ნახევარი საუკუნის მანძილზე (1868-1918) იყო პრაქტიკულად ერთადერთი სახელმძღვანელო, რომლის მეოხებითაც ეროვნული სკოლა, რუსიფიკაციის პირობებში, ახერხებდა მიეცა მოსწავლეთათვის უნივერსალური ცოდნა ერის ტრადიციებზე, მის სულიერ სამყაროზე, ცხოველმყოფელი გავლენა მოეხდინა მათ იდეურ და ესთეტიკურ აღზრდაზე.

ქართული პედაგოგიური აზრის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი უშანგი ობოლაძე წერდა: „ბუნების კარი“ იყო საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული, ჩვენი ქვეყნის ბუნებით, ჩვენი ხალხის დადებითი ზნეობრივი ტრადიციებით ნასაზრდოები და მისი საუკეთესო მომავლის ღრმა რწმენით გამსჭვალული, მაღალი პედაგოგიური ოსტატობით აღბეჭდილი ორიგინალური სახელმძღვანელო და სწორედ ამიტომ შერჩა იგი მკვიდრად სასკოლო სწავლებას“. „ბუნების კარი“ დანართი.გვ.2

„ბუნების კარი“ ხელს უწყობდა არა მარტო მოზარდთა მშობლიურ ენაზე სწავლებას, არამედ უღვივებდა მათ ეროვნულ თვითშეგნებასა და ცნობიერებას, უნერგავდა შეგნებულობისა და აქტიურობის, სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპებს.

იაკობ გოგებაშვილი „ბუნების კარის“ შესავალშივე (რომელსაც ჰქვია „მასწავლებელთა და მშობელთათვის“) მიანიშნებს, რომ მისთვის სამაგალითო და მისაბაძია დაწინაურებული, განათლებული ქვეყნები, სადაც „კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას“ [4]. იგი წუხს, რომ ჩვენში მხოლოდ ბავშვის ფანტაზიას ხშირად ისეთი რამეებით ავარჯიშებენ, რაც მათ გონებას უმახინჯებს. ამიტომ ჩვენებურ ბიუროკრატიულ სკოლასთან ერთად აკრიტიკებს მშობლებსაც, რომლებიც არ ცდილობენ ასწავლონ შვილებს ისეთი საგნები, რომლებიც გამოაფხიზლებდა და განავითარებდა მათ გონებას. ერთ-ერთ ასეთ საგნად კი ი. გოგებაშვილს წარმოუდგენია ბუნებისმეტყველება. თავისი წიგნის პირველსავე გვერდზე ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც ვერ მოვა.“ (გვ.10) უკვე ამ ფრაზით ავტორი ნორჩ მკითხველს აგრძნობინებს მშობელი მიწა-წყლის გამორჩეულ სილამაზეს და განაწყობს მისი მშვენიერების აღსაქმელად. ი. გოგებაშვილი იმთავითვე შენიშნავს, რომ წიგნში შეტანილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

„რომლებიც დაწერილნი არიან წმინდა ქართული ენით, სავსენი არიან მაღალი მისწრაფებით, მხატვრული სურათებით და მოზარდს თაობაში უნდა აღზარდონ, ენის ცოდნის გარდა, ღირსეულის ადამიანის და მხურვალე მამულიშვილის თვისებანი“ [5]. საქართველოს გეოგრაფიაცა და ეთნოგრაფიაც, რომლებსაც თან ახლავთ შესაბამისი ლექსები და სურათები, ავტორის მტკიცებით, სამშობლოს სიყვარულისა და ნამდვილი მამულიშვილობის საძირკველია. ი. გოგებაშვილი ასევე დარწმუნებულია, რომ „ქართული ენა ისევე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა“ [6].

იგი წუხს საქართველოს იმდროინდელ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული სავალალო მდგომარეობის გამო, რადგან ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქვეყნის სკოლებში საქართველოს შესახებ (თანაც ქართულად!) თითქმის არაფერი ისწავლებოდა. სწორედ იმ საგრძნობი შემეცნებითი ვაკუუმის შესავსებად იღწვოდა დიდი პედაგოგი და მამულიშვილი, როცა საკუთარ წიგნში შეჰქონდა სადა, გასაგები ენით დაწერილი ენციკლოპედიური მასალები საქართველოს წარსულზე, რომელთა მეოხებითაც პატარა მკითხველი პირველად გაეცნობოდა მშობელი ქვეყნის ისტორიის უმთავრეს მომენტებს, გაიგებდა დიდი წინაპრების საგმირო საქმეებს და აღივსებოდა პატრიოტული სულისკვეთებით. ი.გოგებაშვილი მასწავლებლებსა და მშობლებს შეახსენებს, რომ ისტორია უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება კი არა ერის მოძღვარია, რომელიც უჩვენებს მას საკუთარ ნაკლოვანებებსა და მიღწევებს და ამ გზით უტარებს ნაციონალურ გაკვეთილებს, რას უნდა ერიდოს სამერმისოდ, „რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რათა აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოიმზადოს“ [7]. „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში, რომელიც დაწვრილებით შიფრავს ავტორის იდეურ ჩანაფიქრს და პედაგოგიურ კონცეფციას, განსაკუთრებით მკაფიოდაა ხაზგასმული ეროვნული ერთიანობის უპირობო აუცილებლობა და უალტერნატივობა. ეს აზრი ი.გოგებაშვილს ასე აქვს გამოხატული: „განცალკევება საქართველოს კუთხეებისა ნამდვილი შხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი - უებარი წამალი“ [8]. მისი აზრით, „ჩვენი ერის წარმატება და აყვავება ყოვლად შეუძლებელია ნაციონალური ერთობის გარეშე, ხოლო ამ ერთობას ასუსტებს და ვნებს ამჟამად ჯერ განხეთქილება გლეხთა და მემამულეთა შორის და მერე პროვინციალიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ახლაც არ გამქრალა“ [9].

სწორედ ქართული ეროვნული ცნობიერების ჩანერგვას, გაღვივებას და განმტკიცებას ემსახურება „ბუნების კარის“ ყველა თავი, ქვეთავი თუ ცალკე აღებული ნაწარმოები. ეს ის წიგნია, რომელიც მიზანმიმართულად, მტკაველ-მტკაველ მიიწევს მოზარდის გულისა და გონებისკენ, რათა იქ დამსახურებულად დაიკავოს სრულიად გამორჩეული ადგილი, რადგან, პოეტის თქმისა არ იყოს, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, სამვილიშვილოდ გარდაეცემის“ .

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

„ბუნების კარი“ გაჯერებულია ისეთი სამეცნიერო, დოკუმენტური და მხატვრული მასალებით, რომლებიც ჰქმნიან მენტალური და სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის განცდას, განავრცობენ ეთნიკურ მითოლოგიას, არქექტიპებსა და სტერეოტიპებს.

რაკი მოკლე მოხსენება ვერ დაიტევს ამ ექვსასგვერდიან წიგნში შესული ყველა ნაწარმოების მიმოხილვას, ჩვენ გადავწყვიტეთ შევხვით, თანაც ფრაგმენტულად, მხოლოდ იმ ლიტერატურულ და ისტორიულ ტექსტებს, სადაც ყველაზე მკაფიოდ ჩანს ი. გოგებაშვილის ლტოლვა სიყრმის წლებიდანვე გააცნობიეროს და ნათელჰყოს პატარებში მშობლიური მიწა-წყლის უჩვეულო სილამაზე, უტყუარი გენეტიკური ძირისძირები და ელვარე ისტორიული წარსული, რათა სამომავლოდ მათი ქართული სულიერება, თვითშეგნება და მსოფლალქმა ვერაფერმა შეარყიოს.

საგულისხმოა, რომ ამ მიზანს დიდი პედაგოგი აღწევს არა პირდაპირი დიდაქტიკით და მშრალი შეგონებებით, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ-ემოციური ზეგავლენით, როცა ტექსტის ფერწერული ფონი, მისი ენობრივი და ტროპული ქსოვილი, შინაგანი მუსიკა და ჰარმონია მიმართულია ქვეცნობიერებისკენ, რომელიც ისტორიული მეხსიერების, ფსიქოლოგიური განწყობების, ენობრივ-მენტალური კოდების საიმედო საცავია.

როცა მოზარდი პირველად გაეცნობა, ვთქვათ, ნაწყვეტს ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“, სადაც უბადლო ოსტატობითაა აღწერილი თუ როგორ „მორბის არაგვი არაგვიანი“ და „შეუპოვრად მოუთამაშებს გარემოს თვისსა ატეხილ ჭალებს“, შეუძლებელია მას ისეთივე აღფრთოვანება არ დაეუფლოს, როგორც იმ პირობით ქართველს, რომელიც თვალწინ გადამლილი მშვენიერების დანახვაზე „რაც უნდა გზასა ეშურებოდეს“, ცხენიდან ჩამოხტება, სამჯერ მაინც იტყვის იქაურობის სადღეგრძელოს, ჩამოისვენებს და მერე კვლავ ქართველურად შესძახებს არაგვის ამწვანებულ მთებს. დარწმუნებული ვარ, არაგვის ხეობაში ბევრ ჩვენგანს პირადად დაუფლებია მართლაც იმ ღვთაებრივი მშვენიერების განცდა, რომელიც ბარათაშვილის წყალობით მის ნახვამდეც ჰქონია.

„კაცი ის არის, ვინს მამულს ეტრფის და ეთაყვანება,

ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო, ვერც მისი მკაცრი ბრძანება,

ვისაც სამშობლოს ოხვრისთვის ლომ-გული მოეფხანება,

ვინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს, მოწამეს დაემგვანება!“ –

შთააგონებს რაფიელ ერისთავის ბაგეებით ნორჩ მკითხველს ი. გოგებაშვილი. ამავე პოეტის უკვდავი ლექსით „სამშობლო ხევსურისა“ იგი კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოთმოტანილ მოსაზრებას, ადუღაბებს მას ასეთი სტრიქონებით:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,

სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,

სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, - ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

შემდგენლის მიერ მარჯვედ შერჩეული ნაწარმოებების წყალობით „ბუნების კარის“ პატარა მკითხველში შეუძმჩნევლად იბუდებს და მკვიდრდება საქართველოს ერთადერთობისა და წარუვალობის შეგრძნება, უფრო მეტიც - ქართველობით გამოწვეული სიამაყის განცდა.

განა შეიძლება სხვა რეაქცია მოჰყვეს გრიგოლ ორბელიანის ამ მარგალიტს, რომელიც დიდი ხანია გახალხურდა და ერთგვარ აფორიზმადაც იქცა:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?

ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!

შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,

იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..

ეროვნული და სოციალური ჩაგვრის პირობებში მცხოვრები ქართველი ბავშვისთვის განსაკუთრებული იმედის მომგვრელია ილიას „ბაზალეთის ტბა“ თავისი ოქროს აკვნიტით, რომელშიც იქნებ წევს ის, „ვისაც დღე და ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“.

მისთვის ასევე საპროგრამო ილიასეული ვედრება ქართველის დედისადმი, სადაც ჩამოთვლილია სამერმისო ყოფის უმნიშვნელოვანესი პოსტულატები: წარსულ დროებზე ოხვრის შეწყვეტა და დარდების ჩაკვლა, საკუთარი მყოფადის საკუთარი ძალისხმევით შექმნის აუცილებლობა, ქრისტეს მცნების აღსრულება ანუ: კაცთა სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება!

ამავე იდეითაა გამსჭვალული ილიასივე „ნანა“, რომლის პაწაწინა გმირსაც „ქართველთადმი ღვთიური ვალი“ აკისრია, უკეთუ „მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შეჰრგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“.

ი.გოგებაშვილი ყრმა მკითხველს სთავაზობს ყველა ქართველისთვის გულის ფიცარზე დასაწერ გრანდიოზულ, მაგრამ ნათელ და ადვილად აღსაქმელ მეტაფორას: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“. საკმარისია, წარმოიდგინო თავი დიდი აკაკის მიერ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ჩამოქანდაკებულ ამ სახატესთან, რომ მოინუსხო მისი მაგიით, იგრძნო მარადიული წილნაყარობა დედა ენასთან, მშობელ ერთან, ხოლო ცნებები „საქართველო“ და „ქართველი“ შეიმოსოს უქრობი შარავანდედით.

სწორედ ამ საკვანძო ჩანაფიქრის სრულყოფილად შესხმის იდეას ემსახურება ი.გოგებაშვილის მოთხრობებიც, რომლებიც სინამდვილეში ყრმათათვის საგანგებოდ შექმნილი „ქართლის ცხოვრება“, ჩვენი სახელმწიფოებრივი და სულიერი ყოფის ზუსტად გააზრებული ქრონოლოგიაა.

“ისტორიულ მოთხრობებს, – აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი, – დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულიშვილების მხურვალე სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობას შორის მაღალი ზნის პრინციპებისა” [10].

ქართულ საისტორიო წყაროებსა და ფოლკლორზე დაფუძნებული და მხატვრულ რეალიზმთან შერწყმული ი. გოგებაშვილის დიდაქტიკური, დოკუმენტური და ისტორიული პროზა „ბუნების კარში“ წარმოდგენილია ისეთი ნაწარმოებებით, როგორცაა „პირველი მეფე საქართველოსი“, „ვახტანგ გორგასლანი“, „არაბთა შემოსევა საქართველოში“, „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“, „მოთა რუსთაველი“, დიმიტრი თავდადებული“, „გიორგი ბრწყინვალე“ და სხვა. (ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილმა შეჰქმნა საყმაწვილო პატრიოტული პროზის არაერთი შედეგრი, მათ შორის ისეთები, როგორცაა „იავნანამ რა ჰქმნა?“ „მეფე ერეკლლე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „სხივი წარსულისა“ და სხვა) ამ სხარტ და მოკლე ნარკვევებში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ქართველი ერის ჩასახვის, განვითარების, ჩამოყალიბებისა და თვითშენახვის მრავალსაუკუნოვანი გზა, დახატულია უპირველეს მამულიშვილთა მიმზიდველი პორტრეტები, ხაზგასმულია მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დადებითი მხარეები, ღვაწლი და დამსახურებანი ერისა და მამულის წინაშე.

როგორც ი. გოგებაშვილისთვის მიძღვნილი ერთ-ერთი მონოგრაფიის წინასიტყვაობაში წერია: „სხვა წყაროებთან ერთად ეს მოთხრობები ქართული ნაციონალური იდენტობისთვის დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი საფუძველი ხდება“ [11].

თვითონ ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ “საყმაწვილო ლიტერატურას, დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. საბავშვო მწერლობა ბევრ სიკეთეს დათესავს მოზარდ თაობაში, ბევრ მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ბევრი კეთილშობილური ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულისშვილსა”[12].

ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმული ამ უდავო ჭეშმარიტების უდავო დასტურია თავად მისი მხატვრული შემოქმედება, რომელიც პატარა ქართველში აღძრავს სახელოვან წინაპართა მიმართ არა მარტო ღრმა პატივისცემას, არამედ მათი ღირსეული ქმედებების თავისებურად გამეორების სურვილსაც.

„ჩემი, მთავარი მოძღვრის მიზანი იყო დაცვა, განმტკიცება იმ მთავარი ეროვნული ბურჯისა, რომელსაც მე ვეჭომაგებოდი სიტყვითაც და საქმითაც“ [13], - წერდა ი. გოგებაშვილი და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ სიტყვების სრული დადასტურებაა.

აქ გამოთქმული მტკიცებების პრაქტიკული ხორცშესხმაჩვენს ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობაში ძირითადად ასე გამოიყურება: დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბუნების კარის“ წარუვალ მხატვრულ-პედაგოგიურ და ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს მისი უნივერსალიზმი, თემატური მრავალსახეობა, ენობრივი სისადავე და ლაკონური თხრობა, ზოგადსაკაცობრიოსა და ეროვნულის ოსტატური შერწყმა, ნაციონალური იდენტობისა და პატრიოტული სულისკვეთების მკაფიო დემონსტრაცია. იგი რჩება ქართული საყმაწვილო მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან.

მითითებული ლიტერატურა

- [1]. „ბუნების კარი“ თბილისი, განათლება, 1976,
- [2]. იქვე, დანართი, გვ.6.
- [3]. იქვე, გვ. I.
- [4]. იქვე, გვ. II.
- [5]. იქვე, გვ. II.
- [6]. იქვე, გვ. II.
- [7]. იქვე, გვ. IV.
- [8]. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940, ტ. II, გვ. 175.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

[9]. იაკობ გოგებაშვილი. წინასიტყვაობა სიმონ ჯანაშიასი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010. - გვ. 7-8.

[10]. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940, ტ. II, გვ. 169-170.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავზიშვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1960;
2. თალაკვაძე მ., ი. გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ., 1952;
3. იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, ტფ., 1913;
4. ლორთქიფანიძე დ., დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი (დაბადებიდან 120 წლისთავის გამო), თბ., 1960;
5. მისივე, ქართული კულტურის მარგალიტი — ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, თბ., 1976;
6. ობოლაძე უ., იაკობ გოგებაშვილი — ქართული სახალხო სკოლის ფუძემდებელი, თბ., 1977;
7. ჯიბლაძე გ., იაკობ გოგებაშვილი — ახალი ქართული პედაგოგიკის მამა, თბ., 1976;
8. იაკობ გოგებაშვილის ბიბლიოგრაფია (1865—1960), თბ., 1961;
9. ლორთქიფანიძე დ., გურგენიძე დ., ნ. აღანია ქსე, ტ. 3, გვ. 196—197, თბ., 1978